ინფორმაცია 2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებულ ანგარიშებთან დაკავშირებით განხორციელებული რეაგირების შესახებ

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის2020 წლის საქმიანობის ანგარიშთან დაკავშირებით არსებული მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია 2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებულ ანგარიშებთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირების თაობაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან საქართველოს პროკურატურაში 2018-2021 წლების განმავლობაში მიღებული იქნა 106 აუდიტის ანგარიში, რის საფუძველზეც გამოძიება დაიწყო 91 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, საქართველოს პროკურატურაში გამოძიება დაიწყო 73 სისხლის სამართლის საქმეზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში გამოძიება დაიწყო 1 სისხლის სამართლის საქმეზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამოძიება დაიწყო 17 სისხლის სამართლის საქმეზე.

106

სულ აუდიტის ანგარიში

91

დაიწყო გამოძიება

50

დაიწყო დევნა

გამოძიებადაწყებული 91 საქმე

- პროკურატურა -73
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო - 1
- ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური - 17

ხსენებული საქმეების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს პროკურატურამ - 50 პირის, მათ შორის - 23 საჯარო მოხელის მიმართ დაიწყო, მათ შორის ისეთი რანგის მოხელეების მიმართ, როგორიც არის ქალაქის მერი, ვიცე-მერი, მუნიციპალიტეტის გამგებელი და მოადგილე, მუნიციპალიტეტის სამსახურის ხელმძღვანელი პირები და ა.შ.

ამავე პერიოდში, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის ანგარიშებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, **სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 43 პირის მიმართ.**

სახელმწიფო აუდიტის ანგარიშების საფუძველზე პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, **2018-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტს აუნაზღაურდა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი 850 000 ლარის ოდენობით.**

წარმოგიდგენთ დეტალურ სტატისტიკურ ინფორმაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული საქმიანობის თაობაზე.

2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან პროკურატურაში შემოსული იქნა 33 აუდიტის ანგარიში, რის საფუძველზეც გამოძიება დაიწყო 28 სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის 21 ფაქტზე (სხვა დანაშაულებთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 6 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის 1 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით.



2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ, მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტზე 6 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 2 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლითა და 332-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტზე 2 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით.



2018 წელს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 8 პირის მიმართ, მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტზე 6 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე 1 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე 1 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით.



2019 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან პროკურატურაში რეაგირებისთვის გადმოიგზავნა 34 აუდიტის ანგარიში, რის საფუძველზეც გამოძიება დაიწყო 31 სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის 23 ფაქტზე (სხვა დანაშაულებთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 5 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის 2 ფაქტსა (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით;
- სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევის 1 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 195[1]-ე მუხლით.



2019 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 18 პირის მიმართ, მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტზე 3 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე 5 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლით;
- სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 7 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე 2 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით;
- კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ჩადენილი გულგრილობის ფაქტზე 1 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 220'-ე მუხლით.



2019 წელს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 15 პირის მიმართ, მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 8 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლით;
- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტზე 1 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში) 1 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე 5 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით.



2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან პროკურატურაში მიღებული იქნა 28 აუდიტი ანგარიში, რის საფუძველზეც გამოძიება დაიწყო 24 სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის 17 ფაქტზე (სხვა დანაშაულებთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 7 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლით.



ამავე პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 პირის მიმართ, მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 5 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლით;
- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტზე 3 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების და გამოყენების ფაქტზე 3 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 362-ე მუხლით;
- სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე 1 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 341-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე 1 პირის მიმართ; დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით;
- კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ჩადენილი გულგრილობის ფაქტზე 2 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 220[1]-ე მუხლით.



2020 წელს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 14 პირის მიმართ, მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 4 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლით;
- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტზე 3 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე 1 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 341-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე 1 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით;
- ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების და გამოყენების ფაქტზე 3 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 362-ე მუხლით;
- კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ჩადენილი გულგრილობის ფაქტზე 2 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 220'-ე მუხლით.



2021 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან პროკურატურაში მიღებული იქნა 11 აუდიტის ანგარიში, რის საფუძველზეც გამოძიება დაიწყო 8 სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებისა და გაფლანგვის 4 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლით;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 2 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის 1 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით;
- სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით დაუფლების 1 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლით.



2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ, მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 4 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტზე 1 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით;
- ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების და გამოყენების ფაქტზე 2 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 362-ე მუხლით.



2021 წელს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 6 პირის მიმართ, მათ შორის:

- სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 3 პირის მიმართ (სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში), დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლით;
- სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე 1 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 342-ე მუხლით;
- ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების და გამოყენების ფაქტზე 2 პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 362-ე მუხლით.



კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისგან მიღებულ ანგარიშებზე ეფექტიანი გამოძიება და საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება, პროკურატურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რის გამოც პროკურატურა აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან.

ასევე, აღვნიშნავთ, რომ მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ გენერალური პროკურორის ყოველწლიურ ანგარიშში სპეციალური თავი დაეთმოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირების, ასევე მიღწეული შედეგების მიმოხილვას და მოხდეს მისი პროაქტიულად საჯაროდ გამოქვეყნება.